ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/15

დაბა ქედა, **27 ოქტომბერი, 2023 წელი**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 13:10 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან 19 ესწრებოდა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;,
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი;
ზაზა დავითაძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;
ზვიად გოგიტიძე - ელექტრონული პეტიციის ავტორი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/15 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

27 ოქტომბერი, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ციწცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/15 მორიგი სხდომა

მოქალაქეთა რეგისტრაციის ფურცელი

27 ოქტომბერი, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	პირადი №	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა	შენიშვნა
1	[illegible]	61008003272	558248248		
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					
21					
22					
23					
24					
25					

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ოქტომბრის №01-06/15 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

მომხსენებელი: საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე: ლევან ვერძაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. ელექტრონული პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

მომხსენებელი: სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენადი ანანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

6. სოციალურად დაუცველი ოჯახების რეგისტრაციისა და რაოდენობის თაობაზე სსიპ. სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის სერვისცენტრის ინფორმაციის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს

ქედის სერვისცენტრის უფროსი: ზურაბ ყადიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ოქტომბრის №01-06/15 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ საკრებულოს წევრის ჯემალ დავითაძის განცხადებით: ,,გლობალურმა დათბობამ და მისგან გამოწვეულმა სტიქიურმა მოვლენამ მთელი საქართველოს მაშტაბით სამწუხაროდ მასიური ხასიათი მიიღო, რასაც ინფრასტრუქტურულ და სასოფლო სამეურნეო ზარალთან ერთად ხშირ შემთხვევაში ეწირება მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე, რისი არაერთი შემთხვევის მხილველები ყველა ერთად გავხდით.

რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, ასეთი სავალალო მდგომარეობის დადგომა ძალიან ხშირ შემთხვევაში, ცენტრალური ხელისუფლების არასათანადო დამოკიდებულების შედეგად ხდება. სტიქიის დადგომის შემდეგ კი, იწყება ხოლმე თავის მართლება თითქოს ხელისუფლება რა შუაშია და ბუნებრივი კატაკლიზმების წინაშე ყველა უძლურები ვართ. თუმცა, ბევრად უფრო ადრე, რომ გადაედგათ სწორი, გონივრული ნაბიჯი ხშირ შემთხვევაში ასეთი სავალალო შედეგების თავიდან აცილება შესაძლებელი გახდებოდა.

სწორედ ამიტომ, პარტია ,,საქართველოსთვის"საკრებულოში შემოვდივართ ინიციატივით, მუნიციპალიტეტის მერიამ, 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის დროს, პრიორიტეტულად გაითვალისწინონ მდინარეების, ხევების კალაპოტების გაწმენდითი და ნაპირგასამაგრი სამუშაოების პროექტების განხორციელება განსაკუთრებით მაღალი რისკის ზონაში არსებულ დასახლებაში. ასევე გასათვალისწინებელია ჩვენი მოსახლეობის იმ ნაწილის გაყვანა ზვავსაშიში ადგილიდან, სადაც გეოლოგიური დასკვნით მათი ცხოვრება საფრთხეს წარმოადგენს და არა სტიქიური უბედურების დადგომის შემდეგ, ამით ავიცილებთ მსხვერპლსს.

შესწავლილი უნდა იქნას ის შემთხვევები, როცა ხელისუფლებამ გამოყო ფინანსური სახსრები ზოგიერთ მეწყერსაშიშ ზონაში მცხოვრები მოსახლეობის გასაყვანად უსაფრთხო ადგილებში, ეს თანხები არამიზნობრივად იქნა გამოყენებული და ისინი კვლავ აგრძელებენ ცხოვრებას საფრთხის შემცველ ადგილებში.

გთხოვთ მხარი დაუჭიროთ აღნიშნულ ინიციატივას, რათა მომავალი წლიდან მაქსიმალურად შევძლოთ ასეთი საფრთხეების და სავალალო შედეგების თავიდან აცილება და მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა."

ამირან ცინცაძემ განცხადების საპასუხოდ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობას, რომელებიც მეწყერსაშიშ ზონაში ცხოვრობდნენ შესაბამისი დახმარება გაუწია და უზრუნველყო მათი განსახლება, ასევე გაფორმდა ხელწერილი, რომ მეწყერსაშიშ ზონაში ცხოვრებას აღარ გააგრძელებდნენ, ასევე მიმართა ჯემალ დავითაძეს მათი მოსაზრების შესახებ წარმოედგინათ სამართლებრივი ხასიათის ინიციატივა და საკრებულო განიხილავდა უფლებამოსილების ფარგლებში.

1. მოისმინეს: „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა, ფრაქცია ქართული ოცნების თავმჯდომარე ლევან ვერმაძემ საკრებულოს წარუდგინა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: №95-95232681, 25.09.2023 წელი; კომისიის დასკვნა: №დ95.95232981, 25.10.2023 წელი.) და განმარტა, რომ საკითხზე 29 სექტემბერს №გ-95.95232722 განკარგულებით დაწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. აღნიშნული დადგენილების პროექტი წინასწარი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტში, საიდანაც წარმოდგენილია დასკვნა (წერილის ნომერი: №03-95232843-95, 11.10.2023 წელი.), რომ დადგენილების პროექტზე სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნიათ. დადგენილების პროექტი ქედის მუნიციპალიტეტის მერიაშიც იყო გადაგზავნილი (წერილის ნომერი: №95-95232725, 29.09.2023 წელი.) და პროექტზე შენიშვნები არ წარმოდგენილა. მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მნორმატული აქტის მიღების მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ბმ/ამხანაგობების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ, ამხანაგობის საერთო ქონების განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების ჩატარების მიზნით მუნიციპალიტეტის დაფინანსების ძირითად მიმართულებას ემატება „საერთო სარგებლობაში მყოფი სარდაფებისა“ და „გარე ფასადის სარემონტო სამუშაოების“ დაფინანსების უზრუნველყოფა.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს როდიდან იქნებოდა შესაძლებელი საერთო სარგებლობის შიდა ინფრასტრუქტურულ სამუშაოების შესრულება და ვინ შეასრულებდა?

მომხსენებელმა უპასუხა, რომ მოქმედი წესის შესაბამისად რეგისტრირებულ ბმ/ ამხანაგობამ განცხადების საფუძველზე უნდა მოითხოვოს შესაბამისი სამუშაოების განხორციელება, რომელსაც ქედის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფას შესყიდვების წესის დაცვით.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ იკითხა, თუ იქნებოდა ამხანაგობის მიერ თანაგადახდა, რაზეც მომხსენებელმა უპასუხა, რომ თანაგადახდა მოქმედ წესში თავდაპირველად იყო შესასრულებელი სამუშაოების 5%, თუმცა სამუშაოების ღირებულება ხშირ შემთხვევაში იმდენად დიდი თანხისგან შედგებოდა, რომ ბმ/ამხანაგობებში მესაკუთრეთა რაოდენობის სიმცირის გამო 5% შეგროვება ამხანაგობეს პრაქტიკულად არ შეეძლოთ, ამიტომ ეს ნორმა 2023 წლის 31 მარტს განხორციელებული ცვლილებებით ამოღებულ იქნა. შესაბამისად, თანაგადახდა აღარ მოითხოვება და სამუშაოებს მთლიანად მუნიციპალიტეტი დააფინანსებს.

მომხსენებელმა ასევე განმარტა, რომ წარმოდგენილ დადგენილების პროექტში სათაური საჭიროებს გასწორებას, რადგანაც ის თანხვედრაში იყოს მოქმედ ნორმატიულ აქტთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს მომხსენებლის მიერ გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი სენიშვნის გათვალისწინებით.

(დადგენილება N:დ-95.95233001, 27.10.2023 წელი).

2. მოისმინეს: ელექტრონული პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელმა გენადი ანანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ელექტრონული პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში (წერილის ნომერი: №19/95231375-95, 17.05.2023 წელი; №95-95231392, 19.05.2023 წელი.) და განმარტა, რომ ვინაიდან პეტიციის სახით წარმოდგენილი ბანერის განთავსებისთვის გარკვეული ინფრასტრუქტურული საკითხები იყო მოსაგვარებელი, ფინანსურ მხარესთან ერთად პეტიცია ქედის მუნიციპალიტეტის მერს გადმოეგზავნა განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად. 18 ოქტომბერს კი ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი იქნა წერილი (წერილის ნომერი: №12-95232911-95, 18.10.2023 წელი), რომ ბანერი წარწერით „მამული, ენა, სარწმუნოება"-ს განთავსებისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებული იქნებოდა ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში და შესაბამისად მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტაც მოხდებოდა 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული შესაბამისი თანხის საშუალებით.

ასევე საკითხის ინიციატორმა ზვიად გოგიტიძემ გააკეთ განცხადება, რომ ,,მიმდინარე წლის აპრილის თვეში, სოციალურ ქსელ ფეისბუქის გამოყენებით ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა ჯგუფში ,,ქედა და ქედელები" თემაზე - გსურთ თუ არა ქედის ცენტრში დაიდგას ბანერი წარწერით ,,მამული, ენა, სარწმუნოება", რაზეც გამოკითხულთა 97%-ის აზრი დადებითია და ამ იდეას ემხრობა. აქვე აღნიშნა, რომ ზემოთ აღნიშნული ჯგუფის წევრთა რაოდენობა 18 800 ადამიანს აჭარბებს, რაც გვაძლევს საბაბს, ვიფიქროთ რომ აღნიშნული იდეა ქედის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა უმეტესობისთვის ცნობილია. აქედან გამომდინარე წარმოგიდგენთ წინადადება პეტიციის სახით - ქედაში, კერძოდ ქედი მუნიციპალიტეტის მერიის შენობის ტერიტორიის მიმდებარედ (ქედის ცენტრის ხიდიდან მარჯვნივ მოსახვევში, გზის ზედა ნაწილში) აღმაშენებლის ქუჩაზე დაიდგას ბანერი წარწერით ,,მამული, ენა, სარწმუნოება" ილია ჭავჭავაძის გამოსახულებასთან ერთად. ბანერი თვალსაჩინო იქნება როგორც ქედის ცენტრის ტერიტორიიდან, ასევე ცენტრალური მაგისტრალიდან და მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: ცნობად იქნას მიღებული წარმოდგენილი ანგარიში.
(განკარგულება N:გ-95.95233005, 27.10.2023 წელი).

3. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელმა ვაჟა აბულაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ინიცირების სარეგისტრაციო ნომერი: №95-95232994) და

განმარტა, რომ განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე). დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2023 წლის 17 ნოემბერს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 20 ნოემბერი, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად კი 2023 წლის 24 ნოემბერი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95233004, 27.10.2023 წელი).

4. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა გულადი წითელაძემ საკრებულოს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95232966-95, 23.10.2023 წელი.) და განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის Nგ-95-9523090 განკარგულებით დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობის საერთო კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე შედგენილი სოფლის მხარდაჭერის პროგრამა. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის 63 სოფელში პროგრამის შესაბამისად განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვები. სოფელ გარეტყის მოსახლეობა მოითხოვდა ახლადაშენებული სოფლის სახლის პირველი სართულის მოწყობას, რაც ვერ შესრულდა, ვინაიდან საპროექტო და საინჟინრო კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორიული დახრილობის გამო შეუძლებელია მიწის მოჭრა და ტერიტორიის ხელოვნურად მოსწორება, რადგან საფრთხე შეექმნება შენობის მდგრადობს. ამიტომ სოფლის მოსახლეობამ მიმართა მერიას თხოვნით პროგრამით გამოყოფილი თანხით შეძენილი იქნას სოფლის სახლის საჭიროებისათვის ინვენტარი, რასაც ესაჭიროება პროგრამაში ცვლილების განხორციელება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95233003, 27.10.2023 წელი).

5. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა გულადი წითელაძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (წერილის ნომერი: №12-95232975-95, 24.10.2023 წელი) და განმარტა, რომ მიმდინარე წლის 18 სექტემბერს სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-მა მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის მერიას (წერილი N-EMSC 7 23 00980241) რომლითაც მოითხოვა დაბა ქედაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ 21.03.33.499) 677 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 147,96 კვ. მეტრი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, მისი არსებობის ვადით გადაცემა, შემდგომში იქ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის განთავსების მიზნით, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენდა 333976,80 (სამასოცდაცამმეტიათას ცხრასსამოცდათექვსმეტი ლარი და 80 თეთრი) ლარს.

აღნიშნული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, მისი არსებობის ვადით გადაცემაზე მიღებულია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობა (2023 წლის 29 სექტემბრის განკარგულება Nგ-95. 95232723), მაგრამ აღნიშნული შენობა-ნაგებობის ელექტროქსელში ჩართვა განხორციელდა საკრებულოს მიერ განკარგულების მიღების შემდგომ, ამიტომ საჭიროა საბალანსო ღირებულებას დაემატოს ქსელში ჩართვის ღირებულება - 7000 (შვიდიათასი) ლარი და ქონების გადაცემა მოხდეს სრული ღირებულებით, რომლის ჯამი დღეის მდგომარეობით შეადგენს 340976,80 (სამასორმოციათასცხრაასსამოცდათექვსმეტი ლარი და 80 თეთრი) ლარს. გამომდინარე აქედან, ქონების გაზრდილი საბალანსო ღირებულებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, მისი არსებობის ვადით გადაცემაზე საჭიროა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95233002, 27.10.2023 წელი).

6. მოისმინეს: სოციალურად დაუცველი ოჯახების რეგისტრაციისა და რაოდენობის თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის სერვისცენტრის ინფორმაციის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელმა ზურაბ ყადიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა სოციალურად დაუცველი ოჯახების რეგისტრაციისა და რაოდენობის თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის სერვისცენტრის ინფორმაცია (წერილი ნომერი: №06-95232981-95, 25.10.2023 წელი.) და განმარტა, რომ სერვის ცენტრის ბაზაში სულ დარეგისტრირებულია 3407ოჯახი. მათ შორის: · 0-დან 30 000 -მდე - 111; 30 001 – 57 000 – 380; 57 001 – 60 000 – 68; 60 001 – 65 000 – 107; 65 001 – 100 000 -

1250; 100 001 – 200 000 – 1336; 200 001-დან - 155. აქედან დაახლოებით 1916 ოჯახი არის მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები.

სერვის ცენტრში ყოველდღიურად შემოდის ბაზაში დასარეგისტრირებლად 5-10 განაცხადი. განცხადების შემოტანის უფლება აქვს ოჯახის ნებისმიერ სრულწლოვან წევრს. სერვის ცენტრში განცხადების შემოსვლიდან 1 თვის ვადაში სოციალური აგენტი ახორციელებს ვიზიტს ოჯახში შემოწმების მიზნით. დეკლარაციის შევსებიდან 1 თვის ვადაში ითვლება პროგრამულად და ისახება ბაზაში სარეიტინგო ქულა.

თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა არ გადააჭარბებს 30 000-ს, ოჯახის თითოეულ წევრს ენიშნება 60-60 ლარი. ე.ი 5 სულიან ოჯახს 5*60=300ლ. გარდა ამისა, თუ ოჯახს ყავს 16 წლამდე ბავშვი, ოჯახი დამატებით მიიღებს კიდევ 200 ლარს.

თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს 30 000 ქულიდან 57 000 ქულამდე, მაშინ ოჯახის თითოეულ წევრს ენიშნება სოციალური დახმარება 50 ლარის ოდენობით.

57 000 - დან 60 000 -მდე ოჯახის თითოეულ წევრზე დახმარება 40 ლარია, ხოლო 60 000 დან 65 000 ოჯახის თითოეული წევრი მიიღებს 30 ლარს.

თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა იქნება 65 000 დან 120 000 ფარგლებში და ოჯახში არის 16 წელს მიუღწეველი ბავშვი, ოჯახს დაენიშნება ყოველთვიური 200 ლარიანი ფულადი დახმარება ბავშვის 16 წლის შესრულებამდე.

ოჯახის ხელმეორედ გადამოწმება ხდება ოჯახის სრულწლოვანი წევრის სერვის ცენტრში შემოტანილი განაცხადის ან სათაო ოფისის მიერ გადმოგზავნილი სიის საფუძველზე. დარეგისტრირებული ოჯახების ხელმეორედ გადამოწმება შეიძლება დარეგისტრირებიდან 1 წლის გასვლის შემდეგ. 1 წლის გასვლამდე განმეორებითი რეგისტრაცია შეიძლება ოჯახში დემოგრაფიული ცვლილების, შემოსავლის წყაროს დაკარგვის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების, საცხოვრებელი მისამართის შეცვლის საფუძველზე, ან 2015 წლის 22 მაისის N 01-14/ნ ბრძანებაში მითითებული დიაგნოზის მიხედვით შევსებული ფორმა N100-ის საფუძველზე.

სერვის ცენტრში ოჯახის დარეგისტრირებისას არ აქვს მნიშვნელობა ოჯახი ან ოჯახის რომელიმე პირი სად არის დარეგისტრირებული, მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ პიროვნების ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნობრივი პროგრამის მიხედვით ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები და ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიანობის სტატუსი და ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში, აქვს უფლება მიიღოს ფულადი დახმარება 100 ლარი პირველ და მეორე ბავშვზე 1 წლის შესრულებამდე. ხოლო მე-3 და შემდგომ ბავშზე კი 200 ლარი 2 წლის ვადით.

300 ლარიან დასაქმების პროგრამაში შედიან ისეთი ოჯახები, რომლებსაც სოციალური პროგრამის მიხედვით მინიჭებული აქვთ 65 000-მდე ქულა და ღებულობენ სოციალურ დახმარებას.

სოციალური დასაქმების პროგრამაში არიან ისეთი ოჯახებიც, რომლებსაც პროგრამის მიერ მინიჭებული აქვთ 65 000 – 120 000 -მდე ქულა და ყავთ 16 წლამდე შვილები და ღებულობენ დახმარებას.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რომელ ქულამდე ოჯახებს ეძლეოდათ სამედიცინო პოლისი.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა ითხოვა განმარტება, როგორი შესაძლებლობის ოჯახი უნდა ყოფილიყო, რომ ქულების რაოდენობა 12000 მიეღო ან ოჯახს, რომელსაც ყავს ძვირადღირებული ავტომანქანა, აქვს საცხოვრებელი სახლი და კარგი ხელფასი ოჯახის წევრებს, მათი შვილები როგორ ღებულობენ 200 ლარიან დახმარებას?

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი მახარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რატომ ხდებოდა, რომ ოჯახს სადაც 2 საჯარო მოხელეა, ყავთ ავტომანქანა და აქვთ საკუთრებასი რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლი ანიჭებენ დაბალ ქულებს და სოფელ ვარჯანისში მცხოვრებ ნუგზარ ბერიძეს, რომელიც არ მუშაობს, ძალიან უჭირს და მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებული სახლი და მიწის ნაკვეთი აქვს, ყველა

გადამოწმებაზე ანიჭებენ მაღალ ქულებს, ასევე 300 ლარიან საზოგადოებრივ საქმიანობაზე დასაქმების პროგრამის მონაწილეებს არასამართლიან პირობებში უწევდათ მუშაობა, მისი აზრით ბევრი დასაქმებული საერთო არ გადის სამუშაოზე, ხელსაც არ აწერს და მაინც ღებულობენ თანხას, (სოფელში 15 დასაქმებულიდან ყოველდღიურად ერთდაიგივე 5 ადამიანი გადის სამუშაოს შესასრულებლად, რომლებსაც ძალიან უჭირთ) ეს იწვევს მოსახლეობის არათანაბარ პირობებში ყოფნას.

ზურაბ ყადიძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სამედიცინო პოლისი ეძლეოდათ ბენეფიციარებს 70000 ქულის ჩათვლით, ქულების გადამოწმება ხდება მოქალაქის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მისი განმარტებით შემოსული განცხადება იგზავნება იმავე დღეს სათავე ოფისში თბილისში, მეორე დღეს ღებულობენ ქონების და ხელფასის რეესტრს, შემდეგ აგენტი მიდის ოჯახში და ხდება ადგილზე დანარჩენი ქონების გადამოწმება, რომელსაც ასევე აგზავნიდნენ თბილისში, ხოლო ქულებს ანიჭებს პროგრამა. 200 ლარიანი დახმარების გადამოწმება ბავშვებზე 6 წლის მანძილზე არ მომხდარა ამიტომ ამ წლების განმავლობაში შეიძლება მომხდარიყო ოჯახების ფინანსური მდგომარეობის შეცვლა. 300 ლარიან საზოგადოებრივ საქმიანობაზე დასაქმების პროგრამის მონაწილეების სია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის სერვისცენტრს არ აქვს, ამიტომ მერიას მათი მოთხოვნის საფუძველზე აწვდიან მხოლოდ ქულების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ გააკეთა განცხადება გაზეთ ბათუმელებში დაბეჭდილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ქედაში 14171 ადამიანია რეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და აღნიშნა, რომ ერთიან ბაზაში ყოფნა არ ნიშნავდა სოციალურად დაუცველს, ერთიან ბაზაში ხვდებოდა ყველა, ვინც სააგენტოს მიმართავდა განცხადებით, შესაბამისად განცხადება თითქოს 14171 ადამიანია ქედაში სოციალურად დაუცველი არის მცდარი და ამ ინფორმაციის გავრცელება დაინტერესებული პირების მიერ ემსახურება სიცრუის ტირაჟირებას და შესაბამისი სამსახურის დისკრედიტაციას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 2 (შორენა კარანაძე და ირაკლი მახარაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება N:გ-95.95233001, 27.10.2023 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 13:10 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი: **ჰამიდა ზოიძე**